

სერ რობერტ კერ პორტერი (1777-1842), „მოგზაურობები საქართველოში, სპარსეთში, სომხეთში, ძველ ბაბილონიაში 1817-1820 წლებში“ მოცემულია საინტერესო ცნობები და მოსაზრებებს ის მოსახლეობის შესახებ.

Sir Robert Ker Porter, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia During the Years 1817, 1818, 1819 and 1820, by Sir Robert Ker Porter, vol. I, London, Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1821

On crossing a small stone bridge, we reached the guard-house of a quarantine, about three wersts from Tiflis; but, on delivering our papers of health, we were allowed to proceed, without further detention, towards the gates of the city. Having entered them, (with the feeling of one going into the cave of Trophonius) I took up my quarters at the house of Khoja Aratoon, an Armenian, whose father had served, as treasurer, several of our envoys and ambassadors, when resident at the court of Persia. I was well pleased to hear the first information communicated to me by my host, that the Governor of Georgia, General Yarmolloff, was returned to Tiflis, from his embassy to the Persian monarch; and, accordingly, next morning, I presented myself to His Excellency, and delivered my letters. His reception was in no respect like the gloom of his capital, and the sunshine within, soon spread its influence without doors. (115)

როდესაც პატარა ქვის ხიდი გადავკვეთეთ, ტფილისიდან დაახლოებით სამი ვერსზე კარანტინის სადარაჯო ჯიხურს მივადექით; მაგრამ, ჩვენი ჯანმრთელობის საბუთების გადაცემის შემდეგ, ქალაქის კარიბჭემდე შემდგომი შეფერხების გარეშე მისვლის საშუალება მოგვცეს. იქ შესვლისას (ტროფონის<sup>1</sup> გამოქვაბულში შესვლის შეგრძნებით), ხოჯა ერეთუნის (Khoja Aratoon), სომეხის, სახლში დავსახლდი, რომლის მამა სპარსეთის კარზე მყოფი ჩვენი ზოგიერთი დესპანისა და ელჩის ხაზინადარი იყო. ძალიან გამიხარდა ჩემი მასპინძლისგან შეტყობილი ის პირველი ამბავი, რომ სპარსეთის მონარქთან თავისი ელჩობის შემდეგ საქართველოს გუბერნატორი გენერალი ერმოლოვი ტფილისში დაბრუნდა; და შედეგად, მეორე დღით მისი აღმატებულების წინაშე წარვდექი და მას ჩემი წერილები გადავეცი. მისი მიღება არაფრით ჰგავდა მისი დედაქალაქის წყვდიადს და მზემ თავისი შუქი მალევე განაერცო კარს მიღმა.

Not far from the bazar is the public caravansary, where merchant-travellers take up their quarters. Here you see, exposed on the stone or earthen floors, of dark and vaulted apartments, whatever goods the merchants who inhabit them may possess. The owner of each heap sits cross-legged, in grave attendance, waiting the appearance of customers, or bargaining with those who arrive; and in one of them, I discovered an old fellow-traveller, an Armenian merchant, who had passed the Caucasus with me. He was pleased with the encounter, and treated me with a kaleon, sweetmeats, and some brandy, made at Erivan. This building is circular, three stories in height with a sort of gallery running in front of each range of doors, from whence stone steps descend, to conduct passengers above or below (118). The centre of the court is filled with the horses and mules of the merchants in the caravansary. (119)

---

<sup>1</sup> იგულისხმება ცნობილი ორაკული ტროფონი, რომელის სამლოცველო გამოქვაბულში იყო განთავსებული და მდებარეობდა ბეოტიაში ქალაქ ლებადიასთან მთაზე.

ბაზრის შორიახლო საჯარო (საზოგადოებრივი) ქარვასლაა, სადაც მოგზაური ვაჭრები ჩერდებიან. ბნელი და თაღოვანი სადგომების ქვის თუ მიწურ იატაკზე მცხოვრები ვაჭრების ყოველგვარ საქონელს ვხედავთ. ყოველი გროვის მფლობელი ფეხმოკეცილი ზის, დინჯად ელოდება კლიენტების გამოჩენას, ან მოსულებს ევაჭრება; ერთ-ერთ მათგანში აღმოვაჩინე ძველი თანამგზავრი, სომეხი ვაჭარი, რომელმაც ჩემთან ერთად გადაკვეთა კავკასიონი. ის გახარებული იყო ამ შეხვედრით და ყალიონით, ტკბილეულითა და ერევანში დამზადებული ბრენდით გამიმასპინძლდა. ეს მრგვალი, სამსართულიანი შენობაა ერთგვარი გალერეით ყოველი კარის წინ, საიდანაც ქვის საფეხურებით მიმსვლელები ზევით ან ქვევით მოძრაობენ. ეზოს ცენტრი ქარვასლაში მცხოვრები ვაჭრების ცხენებითა და ჯორებითაა სავსე.

Within these twenty years, the higher ranks of the inhabitants of Tiflis have gradually lost much of their Asiatic manners; and it was a change to be expected, from their constant intercourse with the civil and military officers of the European empire, to which they had become a people. Such changes are not always at their earliest stage properly understood by the persons who adopt them; hence, nations who have been long in a state of vassalage, when they first break from their chains, usually mistake license for liberty; and, in like manner, the fair inmates of an Eastern harem, when first allowed to show their faces to other men than their husbands, may, perhaps, be excused, if they think that the veil of modesty can no longer be of any use. Amongst the lower orders in Tiflis, the effect of European companionship has been yet more decided. Owing to the numbers of Russian soldiers, who, from time to time, have been quartered in their houses, the customary lines of separation in those houses could no longer be preserved; and their owners were obliged to submit to the necessity of their wives being -seen by their stranger guests. The morals of a soldier, with regard to women, are seldom rigid; and these gentlemen, not making an exception to the rule, made the best of the opportunities afforded-them by the occasional absence of (122) the husbands, to eradicate all remains of female reserve, and its sacred domestic consequences, from the characters of their ignorant, but pretty wives. When the women walk abroad, they still so far retain the old custom of concealment, as to wear its costume; and we see them tripping along, enveloped from head to foot in the large Asiatic veil, called a chadre; and, when any of these females happen to be standing at the doors, without this safeguard, I must do them the justice to say, that I have seen more than one retreat hastily into the house, on observing herself to be attentively looked at by a man. The beauty of the Georgian women cannot be disputed; having fine dark large eyes, very regular features, and a pleasing mild expression of countenance; and, from these characteristics being general, if there be any thing in physiognomy, we must conclude that they are naturally sweet-tempered and amiable. The dress of the higher ranks is splendid, and carefully adjusted; but the lower order of females, notwithstanding they share the same taste for the ceremonies of the bath, and regularly go through them all, wear clothes which seldom make acquaintance with soap or water; consequently they appear often in rags, in dirt (123).

ამ ოცი წლის განმავლობაში ტფილისის მოსახლეობის მაღალმა ფენებმა თანდათან დაკარგეს აზიური წეს-ჩვეულებების უმეტესი ნაწილი; და ეს მოსალოდნელიც იყო იმ ევროპული იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებთან მათი მუდმივი ურთიერთობის გამო, ვისი ქვეშევრდომებიც გახდნენ. ადრეულ ეტაპზე ასეთი ცვლილებები იმათ მიერ, ვინც მათ იღებს, ყოველთვის სათანადოდ არ არის გაგებული; შედეგად დიდი ხნის განმავლობაში ვასალურ

მდგომარეობაში მყოფი ერები თავიანთი უღლიდან განთავისუფლებისთანავე, ჩვეულებრივ, თავაშვებულობას თავისუფლებაში ურევენ; სწორად ასე, აღმოსავლური ჰარამხანის ქერა ბინადრებს, როდესაც მათ თავიანთი ქმრების გარდა პირველად მიეცათ სხვა მამაკაცებისთვის თავიანთი სახის ჩვენების უფლება, უნდა ეპატიოთ იმის გაფიქრება, რომ მოკრძალების ვუალი აღარ არის გამოსადეგი. ევროპელებთან ურთიერთობა კიდევ უფრო საგრძნობი ტფილისის დაბალ ფენებში იყო. რუსი ჯარისკაცების სიმრავლის გამო, რომლებსაც დროდადრო მათ სახლებში აყენებდნენ, განცალკევების ჩვეული საზღვრები ვეღარ ნარჩუნდება; და სახლების მეპატრონეები იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ იმ აუცილებლობას, რომ მათ ცოლებს უცხოელი სტუმრებიც იხილავდნენ. ჯარისკაცის მორალი ქალების მიმართ იშვიათადაა ხისტი; გამონაკლისი არც ეს ჯენტლმენები იყვნენ; ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ იმ შესაძლებლობას, რომელსაც მათი ქმრების შემთხვევითი არყოფნა აძლევდათ, რათა მათი უცოდინარი, მაგრამ ლამაზი ცოლების ხასიათიდან ქალური თავშეკავების ყოველგვარი ნაშთი და ოჯახის საკრალური მნიშვნელობა აღმოეფხვრათ. როდესაც ქალები გარეთ გადიან, ისინი კვლავ ინარჩუნებენ როგორც თავის დაფარვის, ისე თავისი სამოსის ტარების ძველ ჩვეულებას; და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მიდიან ისინი თავიდან ფეხებამდე გახვეულები დიდ აზიურ საბურველში, რომელსაც ჩადრი ჰქვია; და როდესაც რომელიმე ქალი შემთხვევით ამ მცველის გარეშე მდგარა კართან, მათ მიმართ სამართლიანობის გამო უნდა ვთქვა, რომ უცხო კაცის დაჟინებული მზერის შემჩნევისას არაერთი მათგანი მინახავს სახლში სასწრაფოდ შესული. ქართველი ქალის სილამაზე არ არის სადავო; მას ლამაზი დიდი მუქი თვალები, ძალიან სწორი ნაკვთები და სახის სასიამოვნო რბილი გამომეტყველება აქვს; და რადგან ეს მახასიათებლები საერთოა, და თუ მათ ფიზიონომიაში არის რაღაც, უნდა დავასკვნათ, რომ ისინი ბუნებრივად სასიამოვნო და თავაზიანები არიან. მაღალი წრის წარმომადგენელთა სამოსი ბრწყინვალე და საგულდაგულოდაა შერჩეული; მაგრამ დაბალი ფენის ქალებს, მიუხედავად იმისა, რომ აზანოს ცერემონიების მიმართ მსგავსი გემოვნება აქვთ და მათ რეგულარულად იტარებენ, ისინი ისეთი ტანსაცმლით დადიან, რომელსაც იშვიათად ხვდება საპონი ან წყალი; აქედან გამომდინარე, ისინი ხშირად ჭუჭყიან ძონძებში ჩნდებიან.

In going towards the citadel, through the bazar, I saw several women of different degrees, flitting about under shelter of the impenetrable *chadre*, and it was not easy then to find out whether it covered riches or poverty. While passing along, my attention was arrested at a baker's shop, by the singular way in which the owner was forming and baking his bread. He first rolled it out, to the length and breadth of a common chambertowel, and not much thicker ; then taking it up over the palms of his hands, threw it with admirable dexterity against the side (123) of the oven, where it stuck. The wall of the oven being kept continually hot, by a constant supply of burning wood beneath, in a couple of minutes the cake was baked, and removed by the point of a stick. This kind of bread is in use over most part of Asia, and serves, not merely as food, but for plate and napkin during the whole meal. (124)

ბაზრის გავლით ციხესიმაგრისკენ მიმავალმა დავინახე სხვადასხვა რანგის რამდენიმე, თვალშეუვალ ჩადრში მოფარფატე ქალი და ადვილი არ იყო იმის დადგენა, ის სიმდიდრეს ფარავდა თუ სიღარიბეს. გასვლისას ჩემი ყურადღება პურის საცხობმა მიიპყრო იმ თავისებური ჩვეულების გამო, რომლითაც პატრონი ფორმას აძლევდა და აცხობდა თავის პურს. ცომი მან ჯერ პირსახოცის სიგრძეზე და სიგანეზე არც თუ სქლად გააბრტყელა; შემდეგ, ხელისგულებით აიღო, საოცარი ოსტატობით მიაკრა ღუმლის კედელს, რომელიც ყოველთვის

ცხელია მასში შეშის მუდმივი შეკეთების გამო, ორიოდე წუთის შემდეგ ნამცხვარი გამომცხვარია და ის ჯოხის წვერით ამოაქვთ. ასეთი პური აზიის უმეტეს ნაწილში გამოიყენება და ის არა მხოლოდ საკვებად, არამედ თევზად და ხელსახოცადაც ემსახურებათ მთელი ტრაპეზის დროს.

At this narrowed point, a bridge of one single arch connects the town with a considerable suburb, called Avlabar. It is chiefly inhabited by a colony of Armenians, who fled from the neighbourhood of Erivan, during the late wars between Russia and the Persian government (126).

ამ შევიწროებულ ადგილას ერთთაღიანი ხიდი ქალაქს აკავშირებს მნიშვნელოვან გარეუბანთან, რომელსაც ავლაბარს უწოდებენ. ის ძირითადად სომხების კოლონიითაა დასახლებული, რომლებიც ერევნის მიდამოებიდან, რუსეთსა და სპარსეთის მთავრობას შორის ბოლო ომების დროს გამოქცეულან.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყეზიამ)